



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA010193472644918

26 / თებერვალი / 2018 წ.
№ 153/ს

სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ განხორციელებული სპეციალური ჭრების შედეგად დამზადებული მერქნული რესურსის (სოჭის და ნაძვის ჯიშის I და II ხარისხის მრგვალი ხე-ტყე (მორი) –სულ 52.03 - მ3 საკუთრებაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N40) (4) განმეორებით გამოცხადების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს #242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ 45-ე, 46¹-ე, 47-ე, 48-ე, 52-ე მუხლების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 დეკემბრის N50 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 15 იანვრის დასკვნის N5000210818, სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 19 დეკემბრის N13/59747 სამსახურებრივი ბარათის და ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2017 წლის 08 ნოემბრის N26304/07, 28 დეკემბრის N31434/07, 2018 წლის 15 იანვრის N814/07 და 01 თებერვლის N2202/07 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი N40 სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურის მართვას დაქვემდებარებულ მესტიის სატყეო უბნის, ბეჩოს სამცველო N19 კვარტალში ,(ლიტერი 5) სპეციალური ჭრების შედეგად დამზადებული 52.03 მ³ წიწვოვანი სახეობის (სოჭის და ნაძვის I და II ხარისხი) მერქნული რესურსის - მრგვალი ხე-ტყის (მორის) საკუთრებაში გაცემასთან დაკავშირებით.

2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესი, აუქციონში მონაწილე პირის ზოგადი უფლება-მოვალეობები და აუქციონის პირობები განისაზღვრება ამ ბრძანების დანართი N1 და დანართი N2-ის შესაბამისად.

3. დაევალოს სააგენტოს ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტს (გ.ბლიაძე) სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“, ვებგვერდზე - www.eauction.ge ინფორმაციის განთავსება;

4. დაევალოს სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული საქმიანობის მართვის სამსახურს (ბ.კიწმარიშვილი) სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტოს“, ვებგვერდზე - www.forestry.gov.ge ინფორმაციის განთავსება;

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში (ქ. თბილისი, გულუას ქ. №6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის
მოადგილე



ნათია იორდანიშვილი